№ 548. ოთხშაბათი, 3 ივნისი. 1896—1898 ოთხშაბათი, 3 ივნისი, № 548.

სტამბა და **რედაქცია:**
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.

ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.

ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი.
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივ სტრიქონი — 5 კაპ. გადახდა 10 ძეთნეზე 4 კაპ.

Типографія и Редакція
„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363.

ქართული თეატრი

შაბათს, 6 ივნისს

ქართული საერო ხორო ალ. კავსაძის

ლოტბარობით გამართავს

კონცერტს

ოთხ განყოფილებათ 22 სიმღერით

ახალ სიმღერებს შორის ხორო შეასრულებს „**ფერხულს**“

განყოფილება I.

1) მგზავრული — — — — არაგვის-პირული
2) გუშინ შვიდნი გურჯანელნი — — ფშავ-ხევსურული
3) ვარადო — — — — ოსური
4) ოროველა (გუთნური) — — სოლო კავსაძისა
5) წყლის პირას დგანან ბალები — იმერული

განყოფილება II.

1) მგზავრული — — — — ოსური
2) ბრძანა სოლომონ — — — ფშავ-ხევსურული
3) თოხნური — — — — ზემო ქართლული
4) სატრფოვ შენთვის დავიბადე — — სოლო (კავსაძისა)
5) კუჩხა ბედნიერა — — — მეგრული

განყოფილება III.

1) მგზავრული — — — — კახური
2) ჭონა — — — — — არაგვის-პირული
3) თოხნური — — — — კახური
4) სულო ბოროტო — — — სოლო კავსაძისა
5) გოგოვ შუშანაო — — — ზემო ქართლული
6) ოდელია — — — — გურული

განყოფილება IV.

1) მურმან მურმან — — — — არაგვის-პირული
2) თავო ჩემო — — — — სოლო კავსაძისა
3) შუშან ქალო — — — — კახური
4) მივალ გურიაში — — — — იმერული
5) სუფრული — — — — ქართლული
6) „ფერხული“ — — — — არაგვის-პირული.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია ✦ ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8½ სათზე გამგე და ადმინისტრ. ნ. გოცირიძე

განცხადება

ტფილისის მამულებისა

დაფასება

სამეურნეო შემოსავლისა

მამულის ბეგრის შედგენას და სს.

კისრულობს **ალექსი გრიგოლის მე სნეჟკოვი**, ლაბორატორიის ქუჩა № 26. ტელეფონი № 567.

Алексѣй Григоріевичъ Снѣжковъ, Лабораторная, № 26. (50—29)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია**. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერატი**.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი**.

20 მაისიდამ — დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი**.

თვალების ავადმყოფობას — **ი. კ. ვარშავსკი**.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია**.

Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

ახალი ამბავი

*** **საერთიერთო დამხმარებელი კასა.** ადგილობრივ მემამულეთა, სატახტო თავად-აზნაურთა, დასახმარებლად და სესხის გაცემით მამულებისაგან საჯარო ვაჭრობის ასაშორებლად, ჩერნიგოვის გუბერნიის თავად-აზნაურთ შეიმუშავეს და შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარუდგინეს საერთიერთო დამხმარებელ კასის წესდების პროექტი. ამ დღეებში სამინისტროს უკვე დაუმტკიცებია ეს პროექტი.

*** **საერო გადასახადების განაწილება.** ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურებზე სამი წლის (1898—1900 წ.) კერძო საერო გადასახადების გაწერის პროექტით, თავად-აზნაურთა მამულებისა და მათზე გაწერილ გადასახადებთა რაოდენობა გამოიხატება შემდეგი ციფრებით. ტფილისის მაზრაში: საერთო რაოდენობა დესეტინებისა—81,044, მთელი სამი წლის გარდასახადი—1,620 მან. 88 კაპ. გორის მაზრაში—266,028 დეს. 4321 მან. 26 კაპ. თელავისაში—29,666 დეს. 585 მან. 32 კ. სიღნაღისაში 62,846 დეს. 1,276 მან. 22 კაპ. დუშეთისაში—108,159 დეს. 2,263 მ. 18 კ. ბორჩალოს—198,026 დეს. 3,960 მ. 52 კ. თიანეთისაში—49,269 დეს. 985 მან. 58 კ. ახალციხისაში—6,564 დეს. 131 მან, 28 კა. ახალქალაქისაში—9,418 დეს. 188 მან. 36 კაპ. ქუთაისისაში 38,212½ დეს. 2,006 მან. 16 კაპ. ოზურგეთისაში 8,1701¼ დეს. 3,717 მ. 60 კ. შორაპნისაში 41,540½ დეს. 2,180 მ. 85 კ. და რაჭისაში 19,997¼ დეს. 1,049 მ. 85 კ. სულ ორივე გუბერნიებში მამულები არის 932,251¼ დ. გადასახადი 24,188 მან. 26 კაპ.

1898 წლიდან სამი წლის ვადით უფრო ცოტა მამულია ხარკ-დასადები, ვიდრე წარსულ სამი წლის განმავლობაში: ტფილისის გუბერნიაში 78,828 დესეტინით უფრო ცოტა, ხოლო ქუთაისისაში 43,037¾ დესეტინით.

*** **მელიქიშვილის მოკვლის საქმე.** გაზ. „ტფ. ფ.“-ის სიტყვით, აზნ. გიგინეიშვილმა უკვე აღიარა: როდესაც თავ. მელიქიშვილმა ესროლა რევოლვერი თავ. გურიელს მინდოდა ეს უკანასკნელი სიკვდილიდან დამეხსნა, ამიტომ რევოლვერი ვესროლე თავ. მელიქიშვილს და მოვკალიო.

28 მაისს გიგინეიშვილი დაპატიმრებულ იქმნა.

*** **წლიური ანგარიში ტფილისის საქალაქო ინსტიტუტისა.** საქალაქო ინსტიტუტში მოწაფენი, ეროვნების მიხედვით არიან: რუსი 129. ქართველი 70, სომხები 41, თათრები 6, მთიული 1; სარწმუნოების მიხედვით, მართლმადიდებელი: 189, სომეხთა გრიგორიანი 39, ფრანგი 12, ლუტერის სარწმუნოების აღმასრულებელი 45, მაჰმადიანი 6. ამათგან სწავლა დაასრულა 25, გადაყვანილია შემდეგს კლასებში 165, განმეორებითი გამოცდა არის დანიშნული 45-ს. მუსიკას სწავლობდა 129 მოწაფე. („კავკ.“)

*** **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახლად გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ „ქართლის ცხოვრების“ პირველი ტომის მეორე წიგნი (210×650 in 8°) ღირებული 1 მანათად. ამავე წიგნის განცხადებიდამ ჩანს, რომ იბეჭდება და მალე გამოვა „ქართლის ცხოვრების“ მესამე წიგნი, რომელშიაც მოთავსებული იქნება „პარიჟის ქრონიკაც“. მეორე ტომიც ორ წიგნად გამოვა და ხელის მოწერით გამომცემელთან ეღირება ორი მანათი ორთავე წიგნი.

*** **დუშეთი. შიო არაგვისპირელის გამოთხოვება.** ჩვენს ახალგაზდა ბელეტრისტს შიო არაგვისპირელს, რომელიც სურამში იქმნა გადაყვანილი ბეითალათ, 31 მაისს მთელმა დუშეთის საზოგადოებამ გამოსათხოვარი სადილი გაუმართა ბაღში.

სუფრაზე ბევრი გრძობით აღსავსე სიტყვა ითქვა და საზოგადოება ნასიამოვნი დაიშალა.

დუშელი ვანო

*** **სოხუმი. ნავთ-სადგურის გაგრძელება.** 28 მაისს აქ აკურთხეს მუშაობა, რომელიც სწარმოებს სადგურის გასაგრძელებლად. გარდაწყვეტილია შესწიონ ნავთ-სადგური ზღვაში 65 საჟენის სიღრმეზე, რომ გემები პირდაპირ ზედ ნავთ-სადგურს მიადგნენ და რომ მგზავრებს შეეძლოთ პირდაპირ გადმოვიდნენ ქალაქში ნავების დაუხმარებლად. ამ საქმისათვის გადადებულია 100,000 მან. საქმის გამგედ არის ინჟინერი ალხაზოვი. მასალა ადგილობრივ უკვე მიტანილია და მუშებისთვის სახლებიც აშენებულია. საქმე უნდა დასრულდეს მომავალ წლის ნოემბრამდე.

*** **ს. ველისციხე (კახეთი). მოსავლის პირი.** თუ აქამდისინ ჩვენს გლეხკაცობას მხოლოდ ისეთს დაღვრემილს ჰხედავდით, თითქო მას ყოველივე არსებობის რწმენა დაჰკარგიდეს, პირიქით დღეს სულ სხვა სურათს გახატავთ ესევე წინეთ დაჭირ-ბოროტებული ხალხი. რამ გამოსცვალათ ასეო, იკითხავთ, იმან რომ სისხლითა და ოფლით მორწყულ ვაზებმა ძლიერ ისეთი მოსავლის პირი დაანახვეს, როგორიც კარგა ხანია აღარ ახსოვთ. მართლაც და თუ წელს, თქვენის დღეგრძელობით, ღმერთმა ცა და ღრუბელი დაუმშვიდა, ისეთი ღვინის მოსავალი იქნება ქახეთში, რომ უკეთესი შეუძლებელი იყოს. მართალია ბევრს ადგილს საფერავი ტყუის ცოტა, მაგრამ სამაგიეროდ რქა წითლის მსხმოიარეობას ვერ წარმოიდგენთ.

წარმოიდგინეთ იმდენად წაახალისა ამ მოსავლის პირმა ჩვენი გლეხობა, რომ ის ურწმნო თომაც კი, რომელიც შაბიამნის მამგონს წყევლა-კრულვას უთვლიდა ეხლა აღარავის აცდის და პირველად თითონ სწამლობს ვენახს. მიზეზიც ეს არის, რომ დიდი და პატარა, განურჩევლად წოდებისა, ვენახის წამლობაში არიარ და ერთი მეორის ცილობაშია.

სულით და გულით უნატრებთ, ჩვენს შეჭირვებულს გლეხ-კაცობას მოსავლის მშვიდობიანათ ჩავლას.

ჰამლეტი

*** **ქ. ფოთი. კაცის მოკვლა.** მაისის 31, საათის 12-ზე, აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. ერთმა აქაურმა მოვაჭრემ მ—ნ. მე—ძემ რევოლვერით სასიკვდილოთ დასჭრა ერთი სომეხი, რომელიც ტფილისის საურთიერთო გამსესხებელ ბანკის შავი ქვის კანტორის დარაჯათ იყო დაყენებული. მიზეზი აი რა იყო: აქ ბერძნის ქუჩაზე ცხოვრობს ერთი სახით მშვენიერი და სხვაფერ ზნეობა დაცემული არსება, რომლის სახლის კარიც, როგორც გავიგე, ვინც კი მოისურვებდა შესვლას, ყველასათვის ღია იყო. ხსენებულ არსებასთან იმ საღამოს მისულა ბ-ნი მე—ძე. იმავე ღამეს სწვევია ზემოხსენებული სომეხიც და კარის რაკუნი დაუწყია შიგნიდან ჯერ პასუხი არ გასცეს, მაგრამ როდესაც სომეხმა კარს ძალზე დაუწყო რახუნი, ბრძანების კილოთი, შიგნიდგან დაუძახეს, მოშორდიო, სომეხი მაინც არ მოეშვა და ითხოვდა კარის გაღებას. მაშინ კარი გააღო და გამოვიდა მე—ძე ხელში დამბაჩით და დაუყვირა: „წადი მოგვშორდიო!“ და ერთმანეთზე მიიწიეს. მე—ძემ ესროლა დამბაჩა და იქვე წააქცია თავხედი მეტოქე, რომელსაც ტყვია მოხვდა მარჯვენა მუცლის ზემოთ. ეს ამბავი მაშინვე ეუწყა ადგილობრივ ბოქაულს, ბ-ნ მგელაძეს, რომლისაგანაც შეპყრობილ იქმნა მე—ძე თავის მიჯნურთან ერთად და ციხეში გაგზავნა. დაჭრილი ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ მორჩენის იმედი აღარ არის.

— **ჩვენებური ქორწილი.** ამავე ღამეს როდესაც ეს ამბავი მოხდა, აქაური, მცხოვრები კ. გ—ას ქორწილი ჰქონდა გამართული. მოპატიჟებული პირებისათვის მომზადებული დარბაზი მშვენივრათ იყო მორთულ-მომზადებული, ყველაფერი აზიურ გემოზე იყო საჭმელ სასმელი თუ სვხა. წარმოდგენა დაწყებულ იქნა ღამის თორმეტ საათზე, რეჟისორ-ტოლუმბაშის თავმჯდომარეობით- ამ საღამოს სუ-ყველამ ჩვენებურად საუცხოოდ შეასრულეს თავიანთი როლი, დასასრულ ჩვეულებრივად გაიმართა ხმალ-ხანჯლების ტრიალი და ცემა ტყეპა. ხმლის ტრიალში სხვათა შორის თავი ისახელა ერთმა ვაჟბატონმა, რომელმაც ერთ ახალგაზდა ყმაწვილს სამს ადგილს ღრმა

ჭრილობა მისცა, რისთვისაც ჩვენი სახელოვანი აქტიორი საზოგადოებამ დააჯილდოვა იმით, რომ რაც რამე შეხვდათ ხელში ასაღებად, მადლობის ნიშნად თავზე გადააყარეს ცოხი, თეფში, ჭიქა, ბოთლი თუ ქვა-ლოდი...

აქტიორიც ასეთი უნდა და იმის ნიჭის დამფასებელი საზოგადოებაც.

ლ. გეჯეთელი

* * * **ს. აკეთი** (გურია). **წიგნთ-საცავის მდგომარეობა.** როგორც მოგეხსენებათ, გურიის სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველო ბედმა აკეთს არგუნა. რამდენიმე ყმაწვილმა დიდი შრომა მიიღო ამ საქმის მოსაწყობად და შრომა წარმატებით დაუგვირგვინდათ. წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგე ერთხმად არჩეულ იქმნა ბ-ნი ჯ—ბაჟუნაიშვილი და მას ჩაბარეს პატარა ლამაზი ფიცრული სახლი, აგრეთვე რვაას მანეთად ღირებული წიგნები და რუსულ-ქართული ჟურნალ-გაზეთები. ამ წიგნთ-საცავის დაარსებას დიდი სარგებლობა მოჰყვა სხვათა შორის, იმ მხრითაც, რომ აკეთს სხვა და სხვა საზოგადოებამ მიბაძა, და დღეს გურიის ყოველს კუნჭულში ვხედავთ წიგნთ-საცავს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბოლოს დროს აკეთის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს საქმე თან და თან დაქვეითდა, როგორც ქონებრივად, ისე გონებრივად. მიზეზი დაქვეითებისა ის იყო, რომ 1894 წელს წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგე იძულებული შეიქნა მძიმე ავადმყოფობისა გამო თავის მოვალეობა გარდაეცა სხვისთვის.

აი სწორედ ამ ახალი გამგის ხელში წიგნთსაცავის საქმე უკანუკან წავიდა. ასე გასინჯეთ, შარშან ერთად-ერთი ქართული გაზეთიც კი არ მოიპოვებოდა ჩვენს განთქმულს წიგნთ-საცავში. ამ უკანასკნელს ხანებში პირველი გამგეც ავადმყოფობისაგან განიკურნა, და კვლავ შეუდგა თავის მოვალეობას. მაგრამ მან ველარ იპოვა წიგნთსაცავში მრავალი სასარგებლო წიგნი; იგი შეუდგა წიგნების შეგროვებას, მაგრამ ნუ გაგიწყრეთ ღმერთი, წიგნების გასაცემ დავთარში წიგნი ჩაწერილია წაღებულად, ხოლო წიგნების მისაღებ დავთარში არა სჩანს დაბრუნებულად. როცა გამგემ წიგნები მოსთხოვა წამღებ პირთ, მათ უპასუხეს: „ჩვენ მართალია, წავიღეთ, მარა უკანვე მოვიტანეთო და ჩავაბარეთ თქვენს რწმუნებულს კაცსო“.

ამ წლის თებერვალში გამგემ გაძარცული წიგნთსაცავი უფრო მარჯვე ადგილზე გადაიტანა. ამაზე ცოტა არ იყოს ხარჯებიც გასწეის, ზოგი დახმარებით, ზოგიც საკუთრებად. აგრეთვე გამოიწერა ქართულ-რუსული ჟურნალ-გაზეთები რომლებსაც საზოგადობა გატაცებით კითხულობს, ისე რომ ყოველ დღიურად ოცდა ათამდე მკითხველი ყავს, ხოლო კვირა-უქმე დღეებში სამოცამდისაც. დიდი მადლობის ღირსია ბა—ხი ჯ—ბაჟუნაიშვილი კვლავ საქმის წამოყენებისათვის; ვისურვებთ, რომ ის წიგნები, რომელიც აკლია წიგნთსაცავს დაუბრუნოს ვისაც აქვს, წიგნთ-საცავი არის საზოგადო და არა კერძო საკუთრება,

წიგნთ-საცავის წევრი

* * * **დ. საჩხერე** (ზემო იმერეთი) **მდ. ყვირილაზე ხიდის ავ-კარგი.** ჩვენი დაბის მარცხნივ ჩამოდის მდ. ყვირილა, რომელზედაც გადებული ხიდი 95 და 96 წ. უმოწყალო ღვარიანობამ დაშალარის გამოც მთელი ეს მხარე, თითქმის ერთ-წელ-ნახევრის განმავლობაში, ძალიან შეევიწროებული იყო და ხალხი იძულებული იყო წალში ფეხ-და-ფეხ ევლოთ, არა ერთხელ ყოფილა უბედური შემთხვევა. ხალხის ასეთ მდგომარეობას, მთავრობამ ყურადღება მიაქცია და, როგორც ხსენებული ხიდი საშიშ მდგომარეობაშია, სულ ერთი ცოტა წყლის მომატება და მისი ჯანი, რადგანაც წყალში მარცხნივ გადიწია და მხოლოდ იმდენი ადგილი დარჩენია რომ, ურემიც ძლივს გაეტევა და იმასაც დღე-და-დღე აკლდება წყლისაგან და არა მგონია რომ, რამდენიმე დღეს გასტანოს.

როგორც მოგახსენეთ, ეს ხიდი ასეთ მდგომარეობაშია და საჭიროა დროით მიექცეს ყურადღება, მით უმეტეს, რომ წყალი ეხლა ძალიან ადვილი გადასაშვებია, რადგანაც სულ ერთი ქვის ყორე სჭირდება და წყალიც ძველ კალაპოტში ჩადგება.

ახლად ჩამოსული მკითხავი. ამ დღეებში საჩხერეს ეწვი ერთი ებრაელი, ეს ებრაელი არის ლეჩხუმელი. ს. ლაილაშის მც. რომლის სახელიც, თავალ-მიქცობით საკმაოდ არის მოდბული მთელ ლეჩხუმში და რაღაც შემთხვევით აქეთაც ისეთი სახელი დაუმსახურებია, რომ არა მარტო აქაური ებრაელები, არამედ მთლად აქაური სოფლელი ხალხიც დიდი აღტაცებით მიეგებენ ხსენებულს მკითხავს იმ იმედით რომ, მრავალს განკურნებს.

ხაბულიანი

* * * **ს. კაცხი** (იმერეთი). **შერეული ქალის საკვდილი,** ამას წინად აქ გარდაიცვალა ერთი სულით ავათმყოფი დედაკაცი, რომელიც ერთი წლის წინად დაქვრივებულიყო და მას აქეთ მაზლის სახლში სცხოვრობდა, ეს დედაკაცი, თურმე, ხშირად შესჩიოდა მეზობლებს: არას მაჭმევენ, არც მაცმევენ და კიდეცა მცემენო. სიკვდილის შემდეგ ისე დაუსაფლავებიათ რომ მღვდელი არც-კი მოუწვევიათ. ამ სამარცხვინო საქმით გულნატკენმა ერთმა ამ დედაკაცის გულ-შემატკივარმა, თხოვნა მიართვა პროკურორს, რომელშიაც მოხსენებული იყო ქალის მაზლისაგან ასეთი საქციელი, და თხოულობდა კანონიერ სამართალს. ეს თხოვნა ამ დღეებში ად. ბოქაულმა მიიღო, რომელმაც ალმოაჩინა ყოველივე სიმართლე, ვნახოთ რა შედეგი ექნება.!.

ხაბულიანი

* * * **ს. ნოსირი** (სამეგრელო). **მოხელეთა არჩევანი.** 8 მარტს ამა წლისას ადგილობრივი ბოქაულისაგან იყო დანიშნული ნოსირის საზოგადოების სოფლის მოხელე პირებთა აღრჩევა. რასაკვირველია ამგვარ შემთხვევაში პირველად უნდა აირჩიოს ყრილობამ მამასახლისი, როცა ბოქაულმა გამოუცხადა ყრილობას, „რომ აღერჩიათ მამასახლისათ მომავალი სამი წლის ვადით ვინემ კეთილსაიმედო პირი, საზოგადოებამ ერთის ხმით მისცეს ყოფილი მამასახლისი კიმოთე ჩ—ვა. სურვილი ესე მოეწონა ბ-ნს, რადგანაც ყოველ შემთხვევაში სინიდისიანობას ატყობდა ჩ—ვას. მაგრამ ჩ—ვამ ხელმეორედ არჩევაზე უარი განაცხადა საზოგადოების შემდეგ ყრილობაში განხეთქილება მოხდა; ერთი მხარე იძახდა: ნამამასახლისევი იყვესო, და მეორე ანდრო დუდუჩავას, და ვერაფრით გათავდა.

ნოსირელი

* * * **ჟუთაისი. ზნე დაცემული დედაკაცები.** აქ ამ ჟამად გამრავლდნენ ზნე-დაცემული ქალები, რომლებიც განუწყვეტლივ დაიარებიან ქუჩებში დღეც და ღამეც. განხაკუთრებით ორი მათგანი იეთ საზიზღარ სურათს წარმოადგენენ, რომ ენითაც არ ითქმის: შედიან ლუდხანებში, სადაც ლოთები მუდამ არიან, რომლებიც სწორედ ამისთანა ზნე-დაკაცებს ეძებენ, ასმევენ მათ სასმელებს და შემდეგ ათას გვარ უწესოებას სჩადიან. ასე დამთვრალი ერთი ქალი 12 მაისს, 8 საათზე შებძანებულა ერთ ოჯახში და ბალკონზე წაქცეულა; ხმაურობის გაგონებაზე ოჯახში მანდილოსნებს შეშინებიათ და კინაღამ ჭკუა დაჰკარგვიათ. როგორც ამ ქალების ხეტიალს, აგრეთვე ლუდხანების პატრონებს საჭიროა ყურადღება მიექცეს, ვისიც ჯერ არს.

ჰყეპელი ვინ-ჟან

რედაქციისაგან

დიმში დ ი მ ე ლ ს. უსახელო წერილებს არ ვბეჭდავთ.

ნიგოლითში დ ღ ი ურ მ უ შ ა ს. სამწუხაროდ თქვენ წერილს ვერ ვბეჭდავთ

ოზჩაში ვ ა რ ლ ა მ დ ი მ ე ლ ს. საგანი იმად არა ღირს, რომ მაგაზე კამათობა ასტყდეს.

ყურმოკრული საუბარი

შვილი ეკითხება დედას თავის უფროს ძმაზე. დედიდო, კოწია კარგად სწავლობს?

— კი, ჩემო კარგო, ძალიან კარგად სწავლობს.

— მერე-და, მასწავლებელი რატომ ხშირად სჯის ხოლმე მას.

— ხჯისო? აბა, როგორ სჯის?

— როგორ-და, დაჩოქილი ჭიკვს ხოლმე თავის წინ.

—

მეგობარ ქალების საუბარი.— ვინ უფრო მოგწონს ქართველ მწერლებში?

— არ ვიცი, ვერ გიპასუხებ.

— რატომ?

— არც ერთ მათგანს არ ვიცნობ.

საშეცნიერო ცნობა

როგორ არღვევს ადამიანი ბუნების სიმდიდრეს.

ტყეების დაცვა. ამ ჟამად ევროპის ექვსა სახელმწიფოები—ექვსაზე უფრო ადრე ინგლისი, ხოლო ამ ბოლო დროს რუსეთიც—ზრუნავენ იმაზე, რომ დაიცვან ჯერ კიდევ გაუნადგურებელი ტყეები. ეს გატიალებით უფრო ადვილი შეიქმნა მას შემდეგ, რაც დასანთებლად შეშის მაგივრად შემოიღეს ქვა-ნახშირი, ტორფი და სხ. აქაც ჰირინეისა, შვეიცარიისა და ტიროლში უკვე დიდი ხნიდანვე იყო ადგრძალული მთების ფერდობებზე ტყეების განადგურება, რომლებიც ზვავებს აჩერებდნენ; შვეიცარიის ერთ ხეობაში ისეთი სასტიკი კანონი იყო, რომ ვინც კი მოინდომებდა ხის მოჭრას ასეთ დაცულ ტყეში, მას აძევებდნენ საზოგადოებიდან. მაგრამ ასეთი ადგილი ცოტა იყო. ამ ჟამად-კი ევროპის მხოლოდ ერთი სახელმწიფო არ ზრუნავს ტყეების დაცვაზე—ეს სახელმწიფოა ისპანია.

ტყეების გაშენება. მაგრამ ევროპაში დღეს ისე ცოტა ტყე დარჩა, რომ მხოლოდ მისი დაცვით და დახოგვით საქმე არ გაკეთდება. ახლა არა კმარა მარტო დაცვა ტყისა, საჭიროა მისი ხელ-მეორედ გაშენება. თითქმის ექვსგან ევროპის სახელმწიფოებში სწორედ ასე მოიქცენ- საფრანგეთსა და შვეიცარიაში აშენებენ უშვილებელ ტყეებს, და აქედან სარგებლობა უკვე თვალ-საჩინო შეიქმნა: ექვსგან ტყეების მახლობლად წყალ დიდობა ამ ჟამად ადარ არის ხშირი მოვლენა და ადარც ისე ამაოხრებელია, როგორც უწინ. ზოტლანდიაში რიტა ტყეების გაშენება დაიწყეს, ჭვავ შესამჩნევლად გაუმჯობესდა. წმ. ელენის კუნძულზე (ატლანტიის ოკეანეზე) მას შემდეგ, რაც ტყეები გახშირდა, წვიმაც გატიალებით მეტი მოდის, წინად-კი ადამიანებსაც და მცენარეებსაც საშინლად აწუხებდა გვალვა. მოძრავ ქვიშას ამ ჟამად მრავალგან ამაგრებენ განგებ დარგული ხეებით; რუსეთში ასეთ ქვიშაზე ბიის ხეს აშენებენ, რომელიც საუცხოოდ იზრდება ქვიშარზე და ამაგრებს მას თავისი გრძელი ფესვებით.

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან).

2 ივნისი

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბილს სამხედრო ხარჯების შესახებ. ხაზინა ჰმართავს ხელის მოწერას 200 მილიონის ობლიგაციების 3%-ზე. ხელის მოწერა უნდა დაიხუროს 14 ივლის.

მადრიდი, საზოგადოებას არ მოსწოს უცხოეთის მწერლობის თანხმობა მშვიდობიანობის სასარგებლოდ. გენერლების აზრით ისპანიას ორ წელიწადს შეუძლია ომის გაგრძელება კუბაზე. მთავრობას არავითარი წინადადება არ მიუცია სახელმწიფოთაგან მშვიდობიანობის შესახებ, მიგრამ თუ მიიღო, უარ-ჰყოფს და დასძენს, რომ გადაწყვეტილი აქვს უკიდურეს წერტილამდე მიიყვანოს ომი.

სამპსონის ესკადრაზე [illegible] ციება.

ნიუ-იორკი. დეპაშა კინგსტონიდან (იამიკა) [illegible] გადავიდა გვანტანამის [illegible] აღმართეს ციხე-სიმაგრის ნანგრევებზე ამერიკის დროშა. ჯარს ამოეფარა ამერიკის გემები.

ნიუ-იორკი. გონკონგიდან დეპეშით იუწყებიან: „დღეს მეამბოხეთა და ჯარს შორის მოხდა საბედისწერო ბრძოლა მანილიის დასაპყრობად. დევეს მონაწილეობა არ მიუღია ბრძოლაში და მხოლოდ თვალყურს ადევნებდა, რომ მეამბოხეთ სისასტიკე რამ არ ჩაედინათ. მეამბოხეთ, როგორც ისმის, უკვე აიღეს ახალი მალინია და განუცხადეს გენერალ-გუბერნატორს, თუ უკან არ წაიღებ მოწოდებას, რომლითაც ჯილდოს ჰპირდები აგვინალდოსთვის მომრმევს, მაშინ ალარც შენ ალარ დაგზოგავთო.

პეკინი. იმპერატორისაგან ნაბრძანებია დაარსებულ იქნეს პეკინში უნივერსიტეტი ევროპიული წესით. უმაღლესი მოხელენი მოწვეულნი არიან ამ პროექტის განსახილველად.

მადრიდი. გენერალი ბლანკო დეპეშით იუწყება, რომ ამერიკის კრეისერი და ორი კანონერკა (გემებია) გავანის წინ იმყოფება, ორი გემი—მარიელების წინ, ერთი—კარდენიასის წინ, ორი—კაიბარიის წინ, მაგრამ მანტახარისა დასიენფუეგოსის წინ-კი არ იყოფება არც ერთი. კაიმანერიდან არ მოდის არავითარი ამბავი. ამერიკის 15 გემი 7 მილის სიშორეზე იმყოფება სან-იაგოდან.

განცხადებანი

ეფედრა

[კუმიჩის ბალახი]

მსურველთ ეგზავნება ახალი ამ წლის მაისში მოკრეფილი, უმაღლესის ხარისხისა, რჩეული და ყვავილიანი **გირვანქა 5 მან.**, ½ **გირვანქა 2 მან. 50 კაპ.** ხოლო პირველი ხარისხისა გირვანქა 3 მ., ½ გირვანქა 1 მ. 50 კაპ. (ეგ ფასი გაუგზავნელად არის) გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

ადრესი: უმთავრესი საწყობი ეფედრისა გრიგორი ეფიმის ძე **ეფრემოვი,** ქალაქ ბუზულუკში, სამარის გუბერნიაში.

ამ ფირმას აქვს მრავალი მადლობის წერილები ეფედრის კარგს თვისებასა და დირსებაზე.

ЭФЕДРА

(трава кузмича)

Главный складъ эфедры Григорія Ефимовича **Ефремова**, г. Бузулукъ, Самарской губерніи.

(30—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го Іюня г. სტამბა „ცნობისფურცლისა“ (ვ. გუნიასი) სას. ქ. სათ.-აზ. ქარგ. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია